შოთა ალექსის ძე **კოზმანაშვილი**
ვლადიმერ გნდოს ძე **რზგოევი**
თამაზ კონსტანტინეს ძე **სურგულაძე**
ლონდა ივანეს ასული **ჭანტურია**.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

ბილისი, 1991 წლის 22 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### 160 ნ. გ. აბჟანდაძის ქ. ჭიათურის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ნოდარ გრიგოლის ძე **აბჟანდაძე** ქ. ჭიათურის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### 161 ვ. ს. მახათაძის ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
გათავისუფლდეს ვახტანგ სიმონის ძე **მახათაძე** ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 162 ნ. ო. შუბითიძის ქარელის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ნიკოლოზ ოთარის ძე **შუბითიძე** ქარელის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 163 ქარელის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უ. ზ. მეჟანწიშვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
გათავისუფლდეს ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი უშანგი ზაქარიას ძე **მეჟანწიშვილი** დაკავებული თანამდებობიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

**164** **გ. ვ. ბუჯიაშვილის თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გათავისუფლდეს გურამ ვლადიმერის ძე **ბუჯიაშვილი** თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

**165** **ნ. შ. ჩაჩავას თიანეთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაინიშნოს ნუგზარ შალვას ძე **ჩაჩავა** თიანეთის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

**(27-28 თებერვალი)**

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

### დადგენილება

### 166 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების კ. ა. ფირცხალავას, ა. გ. მათიაშვილის და ბ. დ. გუგავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ

მოისმინა რა სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის მოხსენება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 107-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **ფირცხალავას**, აკაკი გიორგის ძე **მათიაშვილის** და ბერდია დიმიტრის ძე **გუგავას** უფლებამოსილება, რომლებიც არჩეული არიან აბაშის, ახალგორისა და ლენტეხის საარჩევნო ოლქებისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 167 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ

#### I. ზოგადი დებულებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის (საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის) უფლებრივი მიმართება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებთან (პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, კავშირებთან, მოძრაობებთან, მათ პოლიტიკურ თუ საარჩევნო ბლოკებთან) და ამომრჩევლებთან დამყარებულია უფლება-მოვალეობათა შექცევადობის პრინციპზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ ნებაყოფლობით გადაცემული უფლებამოსილების იმავე წესით ჩამორთმევის შესაძლებლობაზე. ამდენად დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ უზენაეს საბჭოს, რომელმაც თავის დროზე ცნო ამ დეპუტატის უფლებამოსილება. დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული შემთხვევები, ასევე ამომრჩევლებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დეპუტატთა გაწვევის აქტები. აქედან გამომდინარე:

მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ მათ, ვინც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა — შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ჯგუფს ან პარტიას (ბლოკს);

მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის გაწვევის უფლება აქვს მას, ვინც იგი დეპუტატად აირჩია, შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს იგივე წესით, რომლითაც არჩეულ იქნა დეპუტატი;

მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ამ დეპუტატის გაწვევის აქტის საფუძველზე შეუძლია უზენაეს საბჭოს;

პროპორციული წესით არჩეული დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პოლიტიკურ პარტიას ან ბლოკს, რომელმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა;

პროპორციული წესით არჩეული დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 1.** ტერმინოლოგიური საკითხები

1) წინამდებარე კანონში „ა“ ტიპის პარტია ეწოდება ისეთ პარტიას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებელი პარტიული სიით და არჩევნების შედეგად ამ პარტიული სიიდან თუნდაც ერთი დეპუტატობის კანდიდატი მაინც გახდა უზენაესი საბჭოს წევრი.

2) „ბ“ ტიპის პარტია ეწოდება ისეთ პარტიას, რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით.

3) ბლოკი ეწოდება პარტიათა გაერთიანებას, რომელიც არჩევნებამდე წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკს, მიუხედავად იმისა, არჩევნების შემდეგ საარჩევნო ბლოკმა შეინარჩუნა ორგანიზაციული მთლიანობა თუ არა.

**მუხლი 2.** უზენაესი საბჭოს წევრს, ისევე როგორც საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოვიდეს იმ პარტიიდან, რომლის წევრიც იყო არჩევნების ჩატარებამდე, და გახდეს ან არ გახდეს სხვა პარტიის წევრი.

ასეთ შემთხვევაში „ა“ და „ბ“ ტიპის პარტია ამ დეპუტატის მიმართ ინარჩუნებს უფლებას აღძრას საკითხი უზენაესი საბჭოდან მისი გაწვევის თაობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## II. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში პროპორციული წესით არჩეული დეპუტატის უზენაესი საბჭოდან გაწვევის, მისი უფლებამოსილების შეწყვეტისა და ადგილმონაცვლეობის წესი

**მუხლი 3.** დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრისათვის:

1) „ა“ ან „ბ“ ტიპის პარტიამ თავისი წესდებით განსაზღვრული რესპუბლიკური უმაღლესი ორგანოს (ყრილობა, კონგრესი და ა .შ.) გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მიმართოს უზენაეს საბჭოს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას პარტიამ უნდა უზრუნველყოს თავისი წესდებით განსაზღვრული რესპუბლიკური უმაღლესი ორგანოს სხდომაზე უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის სულ ცოტა ორი წევრის დასწრება.

2) ბლოკმა, მასში გაერთიანებული პარტიების უმრავლესობის მხარდაჭერით (ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად), უნდა მიმართოს უზენაეს საბჭოს.

**მუხლი 4.** „ა“ ტიპის პარტიას უფლება აქვს აღძრას უზენაესი საბჭოდან ნებისმიერი დეპუტატის გაწვევის საკითხი, რომელიც არჩევნების დღემდე შეყვანილი იყო მის პარტიულ სიაში.

**მუხლი 5.** „ბ“ ტიპის პარტიას უფლება აქვს აღძრას საკითხი უზენაესი საბჭოდან იმ დეპუტატის გაწვევის თაობაზე, რომელიც არჩევნების დღემდე ამ „ბ“ ტიპის პარტიის წევრი იყო, ან იყო უპარტიო და არჩევნებში მონაწილეობდა შესაბამისი საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით. „ბ“ ტიპის პარტიის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მან მხარდაჭერისათვის უნდა მიმართოს ბლოკში გაერთიანებულ სხვა პარტიებს.

**მუხლი 6.** „ა“ ტიპის პარტიის ან ბლოკის თვითლიკვიდაციის შემთხვევაში მისი პარტიული სიით უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის გაწვევის საკითხს აღძრავს უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისია.

**მუხლი 7.** „ბ“ ტიპის პარტიის თვითლიკვიდაციის შემთხვევაში უზენაესი საბჭოს იმ დეპუტატის, რომელიც არჩევნების დღემდე იყო ამ „ბ“ ტიპის პარტიის წევრი, გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ შესაბამის ბლოკში გაერთიანებულ სხვა პარტიებს ამ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 8.** უზენაეს საბჭოში პროპორციული წესით არჩეული დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის შემდეგ ამ საკითხს პერსონალურად, თითოეული დეპუტატის მიმართ, განიხილავს უზენაესი საბჭო. დეპუტატი გაწვეულად ჩაითვლება და მისი უფლებამოსილება შეწყდება, თუკი ასეთ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 3/4 მაინც.

**მუხლი 9.** უზენაეს საბჭოში პროპორციული წესით არჩეული დეპუტატის გამოკლებისას მის ადგილს უზენაეს საბჭოში იკავებს „ა“ ტიპის პარტიის ან ბლოკის მიერ პარტიული სიიდან შერჩეული დეპუტატობის კანდიდატი, რისთვისაც „ა“ ტიპის პარტიის ხელმძღვანელმა პირმა ან ბლოკში გაერთიანებული „ბ“ ტიპის პარტიების უმრავლესობის ხელმძღვანელმა პირებმა წერილობითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებით უნდა მიმართონ უზენაეს საბჭოს. ასეთ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დეპუტატობის კანდიდატის თანხმობა.

### III. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის უზენაესი საბჭოდან გაწვევის, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და ადგილმონაცვლეობის წესი

#### თავი I

#### ზოგადი დებულებები

**მუხლი 10.** უზენაეს საბჭოში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის გაწვევის შემდეგ უზენაესი საბჭო დადგენილებით წყვეტს დეპუტატის უფლებამოსილებას, თუ დაადგენს, რომ შესაბამის საარჩევნო ოლქში უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებული კენჭისყრის შედეგები გაყალბებული არ იყო.

**მუხლი 11.** მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის უზენაესი საბჭოდან გაწვევის შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქში ტარდება ხელახალი არჩევნები კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 12.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შეიძლება გაწვეულ იქნეს ნებისმიერ დროს, თუ მისი მოღვაწეობა ეწინააღმდეგება წინასაარჩევნო პროგრამის ძირითად თეზისებს.

**მუხლი 13.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევა ეწყობა შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მიერ პირდაპირი, საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

**მუხლი 14.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევის უფლება განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-2 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

**მუხლი 15.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევის კენჭისყრა თანასწორია. ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი კენჭისყრაში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

**მუხლი 16.** დეპუტატის გაწვევის კენჭისყრა პირდაპირია. ამომრჩევლები უშუალოდ ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევას.

**მუხლი 17.** დეპუტატის გაწვევა ტარდება ფარული კენჭისყრით; კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი დაუშვებელია.

**მუხლი 18.** დეპუტატის გაწვევის ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

**მუხლი 19.** საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

**მუხლი 20.** უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ჯგუფს ან შესაბამის პარტიას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის საკითხი შეიძლება აღიძრას მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების არსებობისას.

**მუხლი 21.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

**მუხლი 22.** საჯაროობა გაწვევის მომზადებისა და ჩატარების დროს, აგრეთვე პასუხისმგებლობა გაწვევის შესახებ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-11 მუხლითა და მე-12 მუხლის პირველი ნაწილით.

**მუხლი 23.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან გაწვეულ დეპუტატს ერთი ვადით ეკრძალება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატად წარდგინება.

## თავი II

## გაწვევის დანიშვნა

**მუხლი 24.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან წევრის გაწვევას ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია 2 თვის ვადაში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ექვსი თვისა.

ცნობა გაწვევის მოწყობის დღის შესახებ ქვეყნდება რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში გაწვევის დანიშვნიდან არა უგვიანეს 2 დღისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი III

### საარჩევნო კომისიები

**მუხლი 25.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევას ახორციელებენ საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად შექმნილი საარჩევნო კომისიები:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

## თ ა ვ ი IV

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრა

**მუხლი 26.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრისას შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა სულ ცოტა 10-კაციანმა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებაში, დეპუტატის გაწვევის მოტივის გარდა, აღნიშნული უნდა იყოს საინიციატივო ჯგუფის წევრთა სახელი, გვარი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები, თარიღი და იგი დადასტურებული უნდა იყოს მათი ხელმოწერით.

საინიციატივო ჯგუფის შექმნის უფლება აქვს შესაბამის პარტიასაც.

**მუხლი 27.** ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადების რეგისტრაციის თაობაზე საინიციატივო ჯგუფს ეძლევა ცნობა და უფლება შეაგროვოს ოლქის ამომრჩევლთა ხელმოწერები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ხელმოსაწერი დოკუმენტის ყოველ ფურცელზე უნდა იყოს საინიციატივო ჯგუფისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შეთანხმებული ტექსტი, ამ ტექსტის მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელით დაწერილი ამომრჩევლის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პასპორტის სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი და ხელმოწერა. ფურცლები დანომრილი უნდა იყოს. თითოეული გვერდი უნდა დამოწმდეს საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის ხელმოწერით.

**მუხლი 28.** საინიციატივო ჯგუფმა ორი კვირის ვადაში უნდა მოაგროვოს შესაბამისი ოლქის ამომრჩეველთა მხარდამჭერი ხელმოწერები ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის სულ ცოტა 10 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 29.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებით საოლქო საარჩევნო კომისია, უზენაესი საბჭოს წევრის ნდობით აღჭურვილ პირებთან ერთად, ორი კვირის ვადაში, შერჩევითად ამოწმებს მხარდამჭერთა ხელმოწერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისწორეს. იმ შემთხვევაში, თუკი მხარდამჭერთა საერთო რიცხვის 5 პროცენტის ხელმოწერის სისწორე არ დადასტურდება (თითოეულ ასეთ შემთხვევაში დგება სათანადო აქტი), ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიის წარდგენის საფუძველზე აუქმებს საინიციატივო ჯგუფის საქმიანობას.

**მუხლი 30.** საინიციატივო ჯგუფის მიერ ამ კანონის მოთხოვნების დაცვით შესრულებული მოთხოვნა დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ საოლქო კომისიის მიერ 3 დღის ვადაში ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც ყველა საბუთს 2 დღის ვადაში უგზავნის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივ კომისიას.

**მუხლი 31.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისია ერთი კვირის ვადაში განიხილავს უზენაესი საბჭოს დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებულ მასალებს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ავალებს მოცემულ ოლქში უზრუნველყოს უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატის გაწვევის კენჭისყრა.

## თავი V

### გაწვევის ბიულეტენი

გაწვევის ბიულეტენის შედგენა-დამზადება ხორციელდება საარჩევნო კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად.

## თავი VI

### უზენაესი საბჭოდან გასაწვევი დეპუტატის საქმიანობის გარანტიები. საინიციატივო ჯგუფის გარანტიები

**მუხლი 32.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოდან დეპუტატის გაწვევის კენჭისყრის შედეგების დადგენამდე დეპუტატი სარგებლობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსით დადგენილი უფლებამოსილებით.

დეპუტატისა და საინიციატივო ჯგუფის გარანტიები განსაზღვრულია საარჩევნო კანონის 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 44-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით და 48-ე და 49-ე მუხლებით.

## თავი VII

### ხმის მიცემის წესი და გაწვევის შედეგების დადგენა

ხმის მიცემის წესი და გაწვევის შედეგების დადგენა ხორციელდება საარჩევნო კანონის 50-ე, 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად.

**მუხლი 33.** საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს: გამოუყენებელი ბიულეტენების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაოდენობას, ამომრჩევლთა საერთო რიცხვს საარჩევნო ოლქში, გაწვევის კენ-ჭისყრაში მონაწილეთა რიცხვს, ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, თითოეულ გადაწყვეტილებისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულე-ტენების რაოდენობას.

დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუკი მის გაწვევას მხარს დაუჭერს ხმ მიცემის მონაწილეთა ნახევარზე მეტი და გაწვევა ჩატარებულად ჩაითვალა.

გაწვევა ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარ ჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია გაწვევის კენჭისყრა ბათილა ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევა. სა ჩივარი ასეთი დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წა რედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ გაწვევის კენჭისყრა არ ჩაითვლება ჩატარებულა ხელმეორე კენჭისყრა არ ეწყობა. ასეთ შემთხვევაში გაწვევის კანდიდატ უნარჩუნდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუს

საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს არჩევნების შე დეგებს და ადგენს ოქმს.

ოქმის ცალთა რაოდენობა სამია. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კო მისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაე ვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი და გამოუყენებელი ბიულეტენები გაწვევის კენ ჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა ეგზავნება ცენტრალურ სა არჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით. მეორე ცალი ინახება თვი საოლქო საარჩევნო კომისიაში, მესამე ცალი კი უნდა ჩაბარდეს გაწვევის კან დიდატის ნდობით აღჭურვილ პირს.

**მუხლი 34.** ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომი სიისაგან მიღებული ოქმის საფუძველზე ამტკიცებს ოლქში ჩატარებული გა წვევის შედეგებს და 2 დღის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი წესი აწვდის მას აუცილებელ ინფორმაციას.

შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომი სია რესპუბლიკურ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობა გაწვევის შედეგების შესახებ.

**მუხლი 35.** თუ კენჭისყრა ბათილად არის ცნობილი ოლქის ერთ ან რამდე ნიმე უბანში, ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა მხოლოდ ამ უბნებში.

ხმის ხელახალი მიცემა ეწყობა გაწვევის კენჭისყრიდან ერთი კვირის შე დეგ და მისი შედეგები განისაზღვრება გაწვევის პირველი ტურისათვის და გენილი წესით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 168 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 169 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „უზენაესი საბჭოს წევრი, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. გამონაკლისს წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, პრეფექტები. სხვა დეპუტატთა მიმართ გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით. გამონაკლისი არ დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის, უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივი ორგანოს ხელმძღვანელებისათვის“.

2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„თუ უზენაესი საბჭოს წევრი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება უზენაესი საბჭოს ხუთ ან მეტ სხდომას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად არის სსრ კავშირის, საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს წევრი, საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოს სხდომის ჩატარების თარიღის დამთხვევისას ვალდებულია დაესწროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომას“.

4. მე-12 მუხლში:

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 და მე-3 ნაწილები:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად არის შესაბამისად სსრ კავშირის, საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ან ადგილობრივი ორგანოს მუდმივი კომისიის, ქვეკომისიისა თუ სხვა ანალოგიური ფორმირების წევრი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს სხდომისა და ზემოაღნიშნული ორგანოების სხდომების ჩატარების თარიღის დამთხვევისას ვალდებულია დაესწროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს სხდომას.

უზენაესი საბჭოს წევრი, რომელმაც შეწყვიტა საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობა და არ იქნა არჩეული უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის ან სხვა მუდმივი ორგანოს წევრად, განცხადებით მიმართავს რომელიმე მუდმივ კომისიას ქვეკომისიის შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე. მუდმივი კომისია ვალდებულია დააკმაყოფილოს დეპუტატის თხოვნა“.

მე-2 ნაწილი ჩაითვალოს მე-4 ნაწილად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 170 „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 იანვრის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 3.** ადგილობრივი მმართველობის სისტემა

ადგილობრივი მმართველობა ქვემდებარე ტერიტორიაზე მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ-ტერიტორიულ თვითმმართველობას.

1) სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — სოფლის (დაბის, თემის), ქალაქის საკრებულო;

სოფლის (დაბის, თემის) საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა ან თანამდებობის პირი — გამგებელი;

ქალაქის საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა;

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

სოფლის ადგილობრივი მმართველობის ტერიტორია აერთიანებს ერთი ან რამდენიმე სოფლის ტერიტორიას. ამ საკითხს საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების წარდგინებით წყვეტს პრეფექტი.

2) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონისა და რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა და ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის საკრებულო;

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს;

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

რაიონის საკრებულოს წევრები არიან:

სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოების მდივნები;

სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოების მიერ თავიანთი შემადგენლობიდან არჩეული წევრები, რომელთა რიცხვს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოს წევრები არიან:

სოფლის (დაბის, თემის), საკუთრივ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (დაქვემდებარებული სასოფლო რაიონის გარეშე) საკრებულოების მდივნები და ამ საკრებულოების მიერ თავიანთი შემადგენლობიდან არჩეული წევრები, რომელთა რიცხვს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

საკუთრივ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის მიერ არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — საკუთრივ ქალაქის საკრებულო;

საკუთრივ ქალაქის საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — საკუთრივ ქალაქის საკრებულოს გამგეობა;

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

3) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც აქვს რაიონული დაყოფა) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის საკრებულო;

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს;

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

ქალაქის საკრებულოს წევრები არიან:

ქალაქის რაიონების საკრებულოების მდივნები;

ქალაქის რაიონების საკრებულოების მიერ თავიანთი შემადგენლობიდან არჩეული წევრები, რომელთა რიცხვს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

4) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის რაიონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის რაიონის საკრებულო;

ქალაქის რაიონის საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა;

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

5) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის საკრებულო;

საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — საკრებულოს გამგეობა;

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს;

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები.

6) რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა და რომლის თანამოსახელე რაიონი არსებობს) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებია:

მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო — ქალაქის საკრებულო;

საკრებულოს მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანო — საკრებულოს გამგეობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო — პრეფექტურა, რომელსაც პრეფექტი მეთაურობს.

ასეთი ტიპის ქალაქსა და შესაბამის რაიონში იქმნება ერთი საერთო პრეფექტურა და ინიშნება საერთო პრეფექტი".

2. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი გადატანილ იქნეს მე-4 მუხლის მე-8 პუნქტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 171 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 92-ე მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვები „პირნი, რომლებიც შედიან საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურის უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები" შეიცვალოს სიტყვებით „პირნი, რომელნიც შედიან საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურის, მის უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პრეფექტისა და მისი მოადგილის გამოკლებით".

2. 125-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7) წარმართავს და ამოწმებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას".

3. 137-ე მუხლში სიტყვები „დაბებსა და სოფლებში" შეიცვალოს სიტყვებით „თემებში, დაბებსა და სოფლებში".

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 172 „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 იანვრის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

მუხლი პირველი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 1.** არჩევნების საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში დეპუტატები აირჩევიან ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბის, თემთა და სოფლის საკრებულოებში — საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებში — შესაბამისად ქალაქის რაიონების საკრებულოების, ქალაქის ზონისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, დაბების, თემებისა და სოფლების საკრებულოების მიერ ფარული კენჭისყრით.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატები აირჩევიან 3 წლის ვადით. ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბის, თემთა და სოფლის საკრებულოებში დეპუტატების არჩევნები ეწყობა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებში — შესაბამისად ქალაქის რაიონების საკრებულოების, ქალაქის ზონისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, დაბების, თემებისა და სოფლების საკრებულოების მიხედვით. საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში არჩევნები ტარდება პროპორციული წარმომადგენლობისა და ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემის საფუძველზე“.

2. მე-10 მუხლის მე-8 ნაწილში სიტყვის „კანდიდატები“ შემდეგ ამოღებულ იქნეს სიტყვა „საჯაროდ“.

3. მე-13 მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვა „დაბების“ შემდეგ ჩაემატოს სიტყვა „თემებისა“.

4. მე-16 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „არანაკლებ 15-ისა“ შეიცვალოს სიტყვებით „არანაკლებ 3-ისა“, ხოლო სიტყვა „დაბის“ შემდეგ ჩაემატოს სიტყვა „თემთა“.

5. მე-18 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები „ან პირიქით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მე-19 მუხლის „გ“ პუნქტს სიტყვების „დაბების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სადაბო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თემთა საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სათემო“;

7. 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3) შრომითი კოლექტივებისა და უმაღლესი სასწავლებლების (მათი ფილიალების) კოლექტივების კრებებს (კონფერენციებს) — შესაბამის ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებში;

„5) ამომრჩევლებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენის გზით — ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 100 ამომრჩეველი, ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 50 ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 20 ამომრჩეველი. ეს რიცხვები შეიძლება შემცირდეს, თუ ამას დაადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია“.

8. 39-ე მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატს მხარს უნდა უჭერდეს ამ საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 100 ამომრჩეველი (ან ამომრჩეველთა უფრო მცირე რიცხვი, თუ ამას დაადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია), რომელთაც თავისი მხარდაჭერა ხელმოწერით უნდა გამოხატონ“.

9. მე-40 მუხლში:

პირველი ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატს მხარს უნდა უჭერდეს ამ საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 100 ამომრჩეველი (ან ამომრჩეველთა უფრო მცირე რიცხვი, თუ ამას დაადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია), რომელთაც თავისი მხარდაჭერა ხელმოწერით უნდა გამოხატონ“.

მე-4 ნაწილში სიტყვა „ერთზე“ შეიცვალოს სიტყვით „ზემოაღნიშნულზე“.

10. 50-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უზრუნველყოფენ დეპუტატობის კანდიდატებისათვის, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის საარჩევნო პროგრამებისა და დეპუტატობის კანდიდატების შესახებ მონაცემების შემცველი წინასაარჩევნო პლაკატების დაბეჭდვას არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

## 173 აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს უფლებამოსილების ვადა ფაქტობრივად დაუმთავრდა 1990 წლის 25 თებერვალს.

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე" საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს თავისი უფლებამოსილება შეუნარჩუნდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე.

1990 წლის 4 დეკემბრის კანონის რედაქციით ჩამოყალიბებული აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელება დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არა უმეტეს 6 თვისა.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს არ გაუგრძელებია თავისი უფლებამოსილების ვადა, არ მიუღია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი და შესაბამისად არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაუნიშნავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს:

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩაატაროს არა უგვიანეს 1991 წლის 1 ოქტომბრისა;

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად გააგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა ა/წლის 15 მარტამდე.

2. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს ხუთი წლით, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ექვს წელზე მეტია მოქმედებს, ამ დადგენილების პირველი მუხლის შეუსრულებლობა გამოიწვევს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 174 სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 იანვრის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ

ეკონომიკის სფეროსა და მოსახლეობის სურსათით და ფართო მოხმარების საქონლით მომარაგების საქმეში დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერდეს „ეკონომიკურ საბოტაჟთან და ეკონომიკის სფეროში სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 იანვრის ბრძანებულების მოქმედება.

2. აღნიშნულ სფეროში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველყოფა განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 175 სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 4 თებერვლის ბრძანებულების მოქმედების შეჩერების შესახებ

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ და მათ ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის საქმეში საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერდეს „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ და მათ ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 4 თებერვლის ბრძანებულების მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ და მათ ორგანი-ზებულ ფორმებთან ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მო-წესრიგდეს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბა-მისად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 176 საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სა-არჩევნო კომისიის წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლე-ბის ადგილობრივ ორგანოებში — საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატ-თა წარდგენის ვადა გაგრძელდეს 7 დღით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 177 საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების მო ნაწილე დეპუტატობის კანდიდატებისა და მათი ნდობით ალ ჭურვილი პირებისათვის საშუალო ხელფასის ანაზღაურების შესახე

ითვალისწინებს რა საქართველოს რესპუბლიკის მძიმე ფინანსურ მდგო მარეობასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების 1991 წლის 31 მარტის არჩევნების მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებს და მათ ნდობით აღჭურვილ პირებს საწარმოო და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან გათავისუფლების პერიოდისათვის საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე არ აუნაზღაურდეთ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

## 178 საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გადაერქვას სახელი საქართველოს რესპუბლიკის ბოგდანოვკის რაიონსა და ქალაქ ბოგდანოვკას, ზნაურის რაიონსა და დაბა ზნაურს, წითელი წყაროს რაიონსა და ქალაქ წითელ წყაროს და შესაბამისად ეწოდოს ნინოწმინდის რაიონი და ქალაქი ნინოწმინდა, ყორნისის რაიონი და დაბა ყორნისი, დედოფლის წყაროს რაიონი და ქალაქი დედოფლის წყარო.

2. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ბოგდანოვკის," „ზნაურის," „წითელი წყაროს" და დაემატოს სიტყვა „გურჯაანის" შემდეგ სიტყვა „დედოფლის წყაროს", სიტყვა „მცხეთის" შემდეგ სიტყვა „ნინოწმინდის", სიტყვა „ყვარლის" შემდეგ სიტყვა „ყორნისის".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 181 საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან რ. ვ. ბასარიას გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით რევაზ ვლადიმერის ძე **ბასარია** გათავისუფლდეს საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 182 „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვა „საქართველოს“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

2. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა მათი თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურის, მის უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პრეფექტისა და მისი მოადგილის გამოკლებით, მართლმსაჯულების ორგანოებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩეული პირები, საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრები და ხელმწიფო არბიტრები, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურო მისი მოადგილეები, ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, ქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტე თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ საქართველ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები.

3. მე-17 მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოებ აღმასრულებელი კომიტეტების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელ სუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების“.

4. 22-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქ რაიონული და საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საბჭოების, პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომიტეტების“ შეიცვალ სიტყვებით „ხელისუფლებისა და მმართველობის რაიონული და საქალაქ (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა) ორგანოების“;

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომისიის კიდევ თითო წევრს ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკებ უზენაესი საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა“;

მერვე ნაწილში სიტყვები „უზენაესი და ადგილობრივი საბჭოების ოფ ციალურ ორგანოებში“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს უზენაესი სა ჭოსა და ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში“.

5. 24-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა შესაბ მისი რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ქალაქის რაიონული საბჭოების პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომი ტების“ შეიცვალოს სიტყვებით „ხელისუფლებისა და მმართველობის შე ბამისი რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებ და ქალაქებისა, რომლებსაც აქვთ რაიონული დაყოფა), ქალაქის რაიონულ ორგანოების“;

6. 26-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო ბის პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომიტეტების“ შეიცვალოს სიტ ბით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორ ნოების“;

7. 28-ე მუხლში;

მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების პრეზიდი მებს ან აღმასრულებელ კომიტეტებს“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს“;

ეროვნული
ბიბლიოთეკ

მეოთხე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმის
ნ აღმასრულებელი კომიტეტის“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხე-
ლისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“;

8. 29-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი პრე-
იდიუმების, აღმასრულებელი კომიტეტების“ შეიცვალოს სიტყვებით „სა-
ელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“;

9. 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგა-
ოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და საუბნო საარჩევნო
ომისიებს გადასცემენ შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა
ესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგე-
ნად“.

10. 48-ე მუხლში:

მეხუთე ნაწილში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი
ომიტეტების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და
მართველობის ადგილობრივი ორგანოების“;

მეექვსე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბ-
ოების აღმასრულებელი კომიტეტების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო
ელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“.

11. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიულ სიაში
უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში ცვლილე-
ა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უზენაესი საბჭოს წევრი
ნ დეპუტატობის კანდიდატი პარტიული სიიდან მოიხსნება. ასეთ შემთხვევა-
ი პარტიულ სიაში შესაბამისი ადგილი უქმდება.

პარტიულ სიებში დარჩენილ პირებს არჩევნების დამთავრების შემდეგ
არა აქვთ დეპუტატობის კანდიდატის სტატუსი. ამ სტატუსს ისინი იძენენ
ხალი არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქში რეგისტრირების შემდეგ ან ამ
უხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო
ომისიისათვის მისი კანდიდატურის წარდგენის შემდეგ.

პარტიული სიიდან უზენაესი საბჭოს წევრი ან დეპუტატობის კანდიდატი
ისნება შემდეგ შემთხვევებში:

ა) უზენაესი საბჭოს წევრის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების ვა-
ამდე მოხსნისას ან დეპუტატობის კანდიდატის ანალოგიური განცხადების სა-
უძველზე;

ბ) უზენაესი საბჭოს წევრის (დეპუტატობის კანდიდატის) მიმართ გამამ-
ყუნებელი სასამართლო განაჩენის ძალაში შესვლისას;

გ) უზენაესი საბჭოს წევრისათვის (დეპუტატობის კანდიდატისათვის) სა-
ართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;

დ) უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევისას.

იმ შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრი ისეთ თანამდებობ
დაინიშნება, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევ
სტატუსთან, მისი უფლებამოსილება წყდება, მაგრამ პარტიული სიიდან
არ იხსნება.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ც
კეულ დეპუტატთა უფლებამოსილება ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე უ
ნაესი საბჭოს წევრის გადაგომის ან სხვა მიზეზების გამო მისი უფლებამო
ლების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქებში
ჟორიტარული წესით არჩეული უზენაესი საბჭოს წევრის გამოკლების მომ
ტიდან სამი თვის ვადაში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცე
რალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს ო
თვისა და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, საუბნო საა
ჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ უზენაესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო პროპორციუ
წესით, უზენაეს საბჭოში მის ადგილს იკავებს არჩევნებში დამოუკიდებლ
მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ პარტიული სიიდან შერჩეუ
დეპუტატობის კანდიდატი, რისთვისაც პარტიის ხელმძღვანელმა პირმა (ბლ
ში გაერთიანებული პარტიების უმრავლესობის ხელმძღვანელმა პირებ
განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადე
თან უნდა ერთვოდეს დეპუტატობის კანდიდატის თანხმობა.

დეპუტატის უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაც
ცენტრალური საარჩევნო კომისია წარუდგენს უზენაესი საბჭოს სამანდატო
დეპუტატის ეთიკის კომისიას 2 კვირის ვადაში.

თუ პარტიულ სიაში დეპუტატობის მეტი კანდიდატი აღარ არის, დეპუტ
ტის ეს ადგილი უქმდება.

თუ მაჟორიტარული წესით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზ
ნაესი საბჭოს წევრი გამოაკლდა უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილებ
ვადის გასვლამდე ერთ წელზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად
ქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა“.

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

**თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.**

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 183 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრის ა. ბ. წაბრიას უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს**:

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობა და ამ სასამართლოს წევრს ალექსი ბაჯგის ძე **წაბრიას** გაუგრძელდეს უფლებამოსილება ნ. ევდოკიმოვისა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დამთავრებამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 184 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრის ა. ვ. ალადაშვილისათვის ამ სასამართლოში არჩევამდე წარმოებაში მიღებული საქმის განხილვის დამთავრების ნებართვის მიცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს**:

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობა და ნება დაერთოს ამ სასამართლოს წევრს ალექსანდრე ვახტანგის ძე **ალადაშვილს** დაამთავროს თბილისის საქალაქო სასამართლოში ა. ხოზრევანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელიც მას წარმოებაში ჰქონდა მიღებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში არჩევამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 185 „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის მეხუთე ნაწილის განმარტების თაობაზე

„გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 იანვრის კანონის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის მეხუთე ნაწილის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქების პრეფექტებს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქში შესაბამისი კანდიდატურების წარმოუდგენლობის გამო გაჭიანურდა პრეფექტის თანამდებობაზე პირების დანიშვნა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

განმარტებულ იქნეს, რომ თუ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არ წარმოადგენს პრეფექტის თანამდებობაზე კანდიდატურას, შეთანხმებულს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს კანდიდატურას ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის პრეფექტის თანამდებობაზე დასანიშნავად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 186 „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი წაკითხვით მიღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს**:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე.

2. პირველი წაკითხვით იქნეს მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა მოამზადონ კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**187** **საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გაცემის ს... ფუძვლიანობის საკითხების შემსწავლელი საქართველოს რე... პუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის შესახე...**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გაცემის ს... ფუძვლიანობის საკითხების შემსწავლელი საქართველოს რესპუბლიკის უზ... ნაესი საბჭოს დროებითი კომისია. თავისი საქმიანობის თაობაზე კომის... უზენაეს საბჭოს მოახსენოს სამ თვეში ერთხელ.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და მმართველობის ა... გილობრივმა ორგანოებმა კომისიას მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო მას... ლები.

3. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ:

დავით ბიჭიკოს ძე **კუპრეიშვილი** — (კომისიის თავმჯდომარე) უზენაეს... საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თა... მჯდომარის მოადგილე.

იური გიორგის ძე **ბურკაძე** — დეპუტატი

პაატა პეტრეს ძე **კოღუაშვილი** — დეპუტატი

კუკური პლატონის ძე **ჩაფიჩაძე** — დეპუტატი

ვალერის იაშას ძე **გელბახიანი** — იურისტი

რევაზ ვასილის ძე **დობორჯგინიძე** — იურისტი

თენგიზ გრიგოლის ძე **მუმლაძე** — იურისტი

გურამ ივანეს ძე **საათაშვილი** — იურისტი

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**188** **სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრკ რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციისა და მისი უზრუნველყოფის ღონის... ძიებათა შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილების თაობაზე**

ქართველმა ერმა თვითგამორკვევა საკუთარი სახელმწიფოებრიობის შე... ქმნით განახორციელა სულ ცოტა 2500 წლის წინათ და დღემდე განუწყვეტელ... ომებში იცავდა და იცავს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს სამეფო-სამთავროების ოკუპაცია — ანექსია, ხოლო 1921 წელს რსფსრ-მ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივად ხელმეორე ანექსია. 1919 წლისა და 1990 წლის არჩევნებით ქართველმა ხალხმა XX საუკუნეში უკვე ორჯერ დაადასტურა თავისი ნება — ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ამიტომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან ბუნდოვანია რეფერენდუმის კითხვა, გაურკვეველია, რას წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განახლებული ფედერაცია, მით უმეტეს, რომ მისი სტატუსი არც ერთი იურიდიული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული. გარდა ამისა, არ შეიძლება არსებობდეს სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია. სსრკ კანონით რეფერენდუმის შესახებ ილახება საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რადგანაც რესპუბლიკის მომავალი ბედი განისაზღვრება არა მისი მოქალაქეების, არამედ სსრ კავშირში შემავალი სხვა „მოკავშირე რესპუბლიკების“ მოსახლეობის გადაწყვეტილებით.

არსებული რთული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. არ ჩატარდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი.

2. რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად 1991 წლის 31 მარტს დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ერთადერთი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 189 საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი მმართველობის ორგანოების შექმნისა და გარდაქმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას:

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა (ნაწილობრივ) და მატერიალური რეზერვების საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს ბაზაზე;

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე;

საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის (ნაწილობრივ) და მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე;

საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბაზაზე (მრეწველობის ხაზით);

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსა და ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო „საქმთავარძეგლდაცვის" ბაზაზე;

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ტერიტორიული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტყემრეწვის" და რესპუბლიკური სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტოქსმეორეულგადამუშავების" ბაზაზე;

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის, საქართველოს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (სამშენებლო ორგანიზაციები), სახელმწიფო კონცერნ „საქსაშენმასალებისა" და სახელმწიფო კონცერნ „საქგზამშენის" ბაზაზე;

საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სათანადო სამმართველოების, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური სამმართველოსა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვის" ბაზაზე;

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის" ბაზაზე.

გარდაიქმნას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტად;

საქართველოს რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტად;

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 190 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-14 თავის სათაური, 122-ე მუხლი და 123-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„თავი 14. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

**მუხლი 122.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

**მუხლი 123.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრები“.

2. კონსტიტუციის ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა“.

3. 104-ე მუხლის 22-ე პუნქტში სიტყვები „სამინისტროებსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტებს“ შეიცვალოს სიტყვით „სამინისტროებს“.

4. 125-ე მუხლის მესამე პუნქტში სიტყვები „სოციალისტური საკუთრებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „ყველა ფორმის საკუთრებისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 126-ე მუხლში სიტყვები „პირველი მოადგილეებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველი მოადგილისა“.

6. 128-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 136-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 154-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 176-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს შესაბამისად სიტყვები „სახელმწიფო კომიტეტების“, „სახელმწიფო კომიტეტებს“, „სახელმწიფო კომიტეტებისა“ და „სახელმწიფო კომიტეტისა“.

7. 129-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 129.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აერთიანებს და წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების მუშაობას.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს და ექვემდებარებიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს აკისრიათ პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი მმართველობის დარგის მდგომარეობისა და განვითარებისათვის; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათს შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათს შესრულებას“.

8. 130-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 130.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციას, მისი საქმიანობის წესს, მთავრობის ურთიერთობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების ნუსხას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე განსაზღვრავს კანონი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესახებ“.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

### 191 მ. შ. გედენიძის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს მურმან შალვას ძე **გედენიძე** საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 192 თ. ვ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს თამაზ ვალერიანის ძე **გუგუშვილი** საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**193** **ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ანზორ მიხეილის ძე **ჭლიკაძე** საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**194** **დ. ვ. ნაკანის საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს დავით ვარდენის ძე **ნაკანი** საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**195** **ნ. ნ. იაშვილის საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **იაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 196 გ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს გურამ ზაალის ძე **მირიანაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### 197 გ. ზ. აბდუშელიშვილის საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს გივი ზურაბის ძე **აბდუშელიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

### 198 ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ოთარ ვლადიმერის ძე **ქვილითაია** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

### 199 ბ. კ. გიგინეიშვილის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ბაქარ კონას ძე **გიგინეიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**200 მ. გ. ძოძუაშვილის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს მანანა გრიგოლის ასული **ძოძუაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

**201 ი. ა. მენაღარიშვილის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ირაკლი ათინოგენის ძე **მენაღარიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან პირადი განცხადების თანახმად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

## 202 საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოების მუშაობისა და საზღვარგარეთის პასპორტების გაცემასთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოების მუშაობისა და საზღვარგარეთის პასპორტების გაცემასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

დავით ბიკენტის ძე **არევაძე**
ბიმურზა გერმანეს ძე **აფრასიძე**
რესან ხასანის ძე **კონცელიძე**
თედორე გიორგის ძე **ნინიძე**
ნათელა სამსონის ასული **ქუთელია**
ლევან ალექსანდრეს ძე **ჭილაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები

(4 თებერვალი)

სხდომაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების პროექტი „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ მმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ“. აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდნენ ჯ. ხეცურიანი, ტ. კუკულაშვილი; აზრი გამოთქვეს ნ. მოლოდინაშვილმა, გ. გულბანმა, ბ. გულუამ, თ. სიგუამ, ი. ჩხეიძემ, ზ. გამსახურდიამ. სხდომამ დაავალა იუსტიციის სამინისტროს გამოთქმული წინადადებების და შესწორებების გათვალისწინებით 5 თებერვალს წარმოუდგინოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს აღნიშნული დადგენილება. განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში პრეფექტების დანიშვნის საკითხი. დაინიშნენ ქ. გორისა და გორის რაიონის, ბოგდანოვკის, სამტრედიის, ოზურგეთის რაიონების, ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის, მარნეულის, ქ. ფოთის, ყაზბეგის, წალენჯიხის რაიონების პრეფექტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომამ დაავალა უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს ზ. დანგაძეს შექმნას კომისია, რომელიც განიხილავს პრეფექტებად დასანიშნი კანდიდატურების საკითხს და შეიტანს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის დასამტკიცებლად.

სხდომის მუშაობა შეაჯამა ზ. გამსახურდიამ.

(8 თებერვალი)

სხდომამ იმსჯელა ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ და აღნიშნული საკითხის განხილვა და პრესაში გამოქვეყნება გადადო 11 თებერვლისათვის. განიხილეს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფის დროებითი დებულების გამოყენების წესის შესახებ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; დებულებას დაემატა პრეფექტად დანიშვნის საკითხი. მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ზ. დანგაძის ინფორმაცია რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების პრეფექტებად დასანიშნი კანდიდატურების თაობაზე. დაინიშნენ ქ. ტყიბულის, აბაშის, ლენტეხის, თერჯოლის რაიონების პრეფექტები. სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თ. ხახვას ინფორმაცია აჭარაში არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით; მან აღნიშნა, რომ სათანადო ცვლილებები შევიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომ აჭარა მონაწილეობას არ მიიღებს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენასთან დაკავშირებით საკავშირო რეფერენდუმში. განიხილეს სხვა საკითხებიც.

სხდომის მუშაობა შეაჯამა ზ. გამსახურდიამ.

(11 თებერვალი)

სხდომაზე ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით პრეზიდიუმის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა ქ. ცხინვალის კომენდანტმა გივი კვანტალიანმა. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ სამაჩაბლოს ოს მოსახლეობაზე დიდი გავლენა აქვს ცენტრს, მოსახლეობას ეხმარება იქ განლაგებული სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯავის ნაწილიც; ქალაქში არ მუშაობენ წარმოება-დაწესებულებები; ქ. ცხინვალი მოკლებულია ელექტროენერგიას, კვების პროდუქტებს, წყალს; ჯავა და ცხინვალი მოწყვეტილია ურთიერთისაგან; ოსი მოსახლეობის 80 პროცენტმა არ იცის, რომ სხვის ტერიტორიაზე ცხოვრობს, მას შიდა ქართლი საკუთარი მიწა-წყალი ჰგონია; სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მოქმედებენ შეიარაღებული ბანდები, წარმოებს მუშაობა მათი დაშლა-განიარაღებისათვის, ჩამორთმეულია გარკვეული რაოდენობის იარაღი; აუცილებელია ქ. ცხინვალსა და შიდა ქართლის რაიონებში ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას ქართველი ეროვნების წარმომადგენელთა თანამდებობებზე წამოწევა. საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელება მოითხოვეს უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა ვ. ადამიამ და ნ. მოლოდინაშვილმა, იუსტიციის მინისტრმა ჯ. ხეცურიანმა. ზ. გამსახურდიამ აღნიშნა, რომ კომენდანტის საათის გაუქმებას მოითხოვს სამაჩაბლოს ქართველი მოსახლეობა, ვინაიდან, მათი აზრით, საბჭოთა ჯარის ნაწილები ართულებენ სიტუაციას და ეხმარებიან ოს მოსახლეობას; დასძინა, რომ ჩრდილო ოსეთის ქართველ მოსახლეობას გადაწყვეტილი აქვს გამოაცხადოს ქართველთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე. მან თქვა, რომ ინგუშებსაც სურთ იქ თავიანთი ავტონომიის გამოცხადება.

საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომენდანტის საათი გაგრძელდეს მხოლოდ ქ. ცხინვალში და დადგენილება ამის თაობაზე გამოქვეყნდეს პრესაში. სხდომამ დაავალა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ. სიგუას დროულად წარმოადგინოს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პროექტი. სხდომაზე განხილულ იქნა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში დასანიშნი პრეფექტების კანდიდატურები. დაინიშნენ ქ. რუსთავის, ახალციხის, თეთრი წყაროს, წალკის, ხაშურის, ბორჯომის, ახალგორის, ბოლნისის, გარდაბნის, ჩოხატაურის, ყვარლის, ხარაგაულის, რაიონების პრეფექტები.

(15 თებერვალი)

სხდომამ იმსჯელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან მუდმივი გაერთიანებული სამხედრო საბჭოს შექმნაზე და გადაწყვიტა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების მიღება აღნიშნულ საკითხზე. აზრი გამოთქვეს ზ. გამსახურდიამ, ვ. ადამიამ, თ. სიგუამ.

სხდომამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის შექმნის შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება; იმსჯელა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების შესახებ და გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგ სხდომაზე. ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ნ. მგალობლიშვილი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს განცხადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ 1991 წლის 29 იანვარს მიღებულ კანონთან დაკავშირებით. აზრი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთქვეს გ. გულბანმა, ნ. მოლოდინაშვილმა, ტ. გელანტიამ, თ. სიგუამ, ვ. ადამიამ, ჯ. ხეცურიანმა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ჯ. ხეცურიანს აღნიშნულ საკითხზე მოამზადოს განმარტებითი წერილი.

პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში პრეფექტებად დასანიშნი კანდიდატურები, ამასთან დაადგინა, რომ ახალგორის პრეფექტის მოვალეობისაგან გათავისუფლდეს გ. ქენქაძე და მის ნაცვლად დაინიშნოს ა. მათიაშვილი. დაინიშნენ ქ. წყალტუბოს, ახალქალაქის, ვანის, ბოგდანოვკის, კასპის რაიონების პრეფექტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ბოგდანოვკის, წითელწყაროსა და ზნაურის რაიონებს გადაერქვას სახელი და დაერქვას შესაბამისად ნინოწმინდის, დედოფლის წყაროს და ყორნისის რაიონები.

(18 თებერვალი)

სხდომამ მოისმინა ჯ. ხეცურიანის ინფორმაცია გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-5 ნაწილის განმარტების თაობაზე. გადაწყდა ამ საკითხის სესიის მორიგ სხდომაზე განხილვა. იმსჯელეს აგრეთვე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ. აღნიშნული საკითხი გატანილ იქნება უზენაესი საბჭოს მორიგი სხდომის განსახილველად.

საქართველოს რესპუბლიკის სსრ კავშირის რეფერენდუმში მონაწილეობასთან დაკავშირებით ერთხმად აღინიშნა, რომ საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას რეფერენდუმში. აღნიშნული საკითხი განიხილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგ სხდომაზე. იმსჯელეს თბილისის გარეუბან შავნაბადაზე საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფებსა და არაოფიციალურ გასამხედროებულ ფორმირება „მხედრიონის" წევრებს შორის მომხდარი შეტაკების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა პროტესტი გაუგზავნა მ. გორბაჩოვსა და დ. იაზოვს, ხოლო „მხედრიონს" — მიმართვა.

დაინიშნენ რესპუბლიკის რაიონების პრეფექტები.

(22 თებერვალი)

სხდომამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯ. ხეცურიანის მოხსენება თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრთა და ქალაქის რაიონული სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურათა შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომამ დანიშნა რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

(25 თებერვალი)

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ, 27 თებერვლის სხდომაზე განსახილველი სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კითხები, იმსჯელა საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გაცემის აფუძვლიანობის საკითხების შემსწავლელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის შესახებ, დანიშნა რაიონების პრეფექტები.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები

27 თებერვალს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.
უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარე-

უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბ. დანგაძის მოხსენების გამო სესიამ ცნო დეპუტატების კ. ფირცხალავას, ა. მათიაშვილისა და ბ. გუგავას უფლებამოსილებანი.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის მდივანმა გ. გულბანმა სხდომას მოახსენა უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონზე, რომელიც დეპუტატებმა პირველი წაკითხვით წინა სხდომაზე განიხილეს. სესიამ მიიღო ეს კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

შემდეგ განიხილეს უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი. აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ა. ბობოხიძე, დ. ბერძენიშვილი, რ. გოცირიძე, თ. ნინიძე, ა. ქობულაშვილი, ე. გუგუშვილი, კანონი მიღებულია საბოლოო რედაქციით.

უზენაესმა საბჭომ ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა ამა წლის 29 იანვარს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის კანონში „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“. აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

„ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა დეპუტატი თ. ჩაჩავა. სესიამ მიიღო წარმოდგენილი ცვლილებანი და დამატებანი.

სანამ სესია შეუდგებოდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვას, ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებს პოლიტიკური შეფასება მისცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზ. გამსახურდიამ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ რამდენადაც საქართველო უარს ამბობს სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ცენტრი ყოველნაირად ცდილობს გაითამაშოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაძაბულობის ხელოვნურად გაძლიერე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის უკვე არაერთხელ მოსინჯული სქემა. ამას ადასტურებს სსრ კავშირის პრეზიდენტთან მისი ტელეფონით საუბრის შინაარსიც.

სესიაზე მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეყვანილია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების 250 სამხედრო მოსამსახურე სრული საბრძოლო აღჭურვილობით იმ საბაბით, რომ მათ უნდა შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გულრიფშის რაიონში მდებარე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეს ქვეგანაყოფი შემოყვანილია საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობათა ნებართვის გარეშე.

აფასებს რა ამ ფაქტს, როგორც სსრ კავშირის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და საქართველოს სუვერენული უფლებების სრულ უგულებელყოფას, უზენაეს საბჭოს ეს მიაჩნია დესტრუქციული ძალების მორიგ პროვოკაციად, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას როგორც საქართველოს ამ რეგიონში, ასევე მთლიანად რესპუბლიკაში. განცხადება შეიცავს მოთხოვნას აღიკვეთოს იმ თანამდებობის პირთა თვითნებობა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება შინაგანი ჯარების შემოყვანის შესახებ, და დაუყოვნებლივ გაიყვანონ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ აქციის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება უკანონოდ მოქმედ მხარეს, ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე ილაპარაკეს აგრეთვე დეპუტატებმა ნ. მგალობლიშვილმა, ლ. ალექსიძემ, გ. ქავთარაძემ და სხვებმა.

სესიამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ შეაჩერა მოქმედება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 იანვრის ბრძანებულებისა „ეკონომიკის სფეროში ეკონომიკურ საბოტაჟთან და სხვა დანაშაულობებთან ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ და 1991 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებისა „ყველაზე საშიშ დანაშაულობებთან და მათ ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევია იმის საჭიროებით, რომ უზრუნველვყოთ რესპუბლიკის სუვერენული უფლებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77-ე მუხლის შესაბამისად. როგორც ხაზგასმულია მიღებულ დადგენილებებში, ამგვარ დანაშაულობებთან ბრძოლა წარიმართება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სესიაზე მიღებულია კანონი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ და დადგენილება არჩევნების მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირებისათვის საშუალო ხელფასის მიცემის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევის საკითხი. აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა ლ. ტუხაშვილმა, მ. შანიძემ, რ. სურმანიძემ, მ. ბდოიანმა, გ. ხავთასმა, რ. მეტრეველმა და სხვებმა. მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

სესიამ განიხილა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის შექმნის საკითხი. ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები რ. გოცირიძე, ა. სილაგაძე, შ. აბზიანიძე, გ. თაქთაქიშვილი, ბ. გულუა და სხვები, დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი კანონი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ა. ჯანჯღავა.

უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარის ი. ჩხეიძის წარდგინებით სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გაცემის საფუძვლიანობის საკითხების შემსწავლელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებს ა. წაბრიას და ა. ალადაშვილს მათ მიერ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დამთავრებამდე.

სესიაზე წინადადებები შეიტანეს და განცხადებები გააკეთეს დეპუტატებმა ა. საყვარელიძემ, ა. კალაძემ, ა. კავსაძემ.

* *
*

28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ განაგრძო მუშაობა. დეპუტატებმა იმსჯელეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების კანონპროექტზე, რომლის განხილვა წინა დღეს დაიწყო. გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული ეს კანონპროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გ. თაქთაქიშვილმა. კანონი მიიღეს პირველი წაკითხვით.

სესიამ დაამტკიცა უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გამოყოფის საფუძვლიანობის საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისიის შემადგენლობა.

შემდეგ უზენაესი საბჭო შეუდგა სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი მოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების გამო საკითხის განხილვას. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ. გამსახურდიას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განცხადების შემდეგ, რომელმაც წაიკითხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემოთავაზებული დადგენილების პროექტი, დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ბ. გიორგობიანი, ლ. ალექსიძე, ნ. ნათაძე, ტ. გელანტია, ზ. აფრასიძე, რ. მეტრეველი, ა. სილაგაძე, რ. გოცირიძე, ა. ქობულაშვილი, თ. მდინარაძე, დ. ბერძენიშვილი, ა. ბობოხიძე, რ. პეტრიაშვილი და სხვები. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სამაჩაბლოში მდგომარეობის შესახებ სესიაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქალაქ ცხინვალის კომენდანტმა მილიციის გენერალ-მაიორმა გ. კვანტალიანმა, მან და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დ. ხაბულიანმა უპასუხეს დეპუტატთა კითხვებს.

სამაჩაბლოში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ უზენაეს საბჭოს მოახსენა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თ. სიგუამ. მისივე წარდგენით სესიამ დანიშნა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და დეპარტამენტების, სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელები.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება გააკეთა დეპუტატმა კ. კაპანაძემ.

სესიაზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები გ. პეტრიაშვილი, ნ. მოლოდინაშვილი, ა. კალაძე, ა. ბობოხიძე და ა. საყვარელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## განცხადება

როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის 22-23 თებერვალს აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარების საბაბით რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების 250 ჯარისკაცი, სრული საბრძოლო ეკიპირებით.

აღნიშნული ჯარის ნაწილების შემოყვანა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაუკითხავად. როგორც ირკვევა, ეს არ იცოდა არც აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და არც შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილების შემოყვანა მოხდა სსრ კავშირის კანონმდებლობის უხეში დარღვევით და საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებებისა და ტერიტორიული უზენაესობის სრული უგულებელყოფით.

აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, შინაგანი ჯარის ნაწილების შემოყვანისათვის არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფლება-მოვალეობების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-3 მუხლის თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გამოყენება ხდება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის და საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების აღკვეთის მიზნით. ამგვარ მოვლენებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ადგილი არა აქვს. მოქმედი კანონმდებლობა კი შინაგანი ჯარების გამოყენებას სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად არ ითვალისწინებს. ასეთ სამუშაოებს ახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები. დარღვეულია აგრეთვე ამავე მუხლით განსაზღვრული წესი, რომლის მიხედვით შინაგანი ჯარების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თხოვნით ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თანხმობით, შესაბამისი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად ამ საკითხის სავალდებულო განხილვით, ანდა სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად. როგორც ჩანს, სსრ კავშირის ხელმძღვანელობა მტკიცედ დაადგა არა მარტო სუვერენული რესპუბლიკების უფლებათა შელახვის, არამედ საკუთარი კანონების იგნორირების გზას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შინაგანი ჯარის ნაწილების შემოყვანა არის დესტრუქციული ძალების მორიგი პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონში და მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო პროტესტს გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო და მოითხოვს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტმა აღკვეთოს იმ თანამდებობის პირთა თვითნებობა, რომელთა უკანონო გადაწყვეტილებით შინაგანი ჯარის ნაწილები შეყვანილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოითხოვს, დაუყოვნებლივ იქნეს გაყვანილი შინაგანი ჯარის ეს ნაწილები საქართველოს ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ამ აქციის შედეგებისათვის უკანონოდ მოქმედ მხარეს დაეკისრება.

მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის 1991 წლის 27 თებერვლის სხდომაზე.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## მ ი მ ა რ თ ვ ა

### გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს

უკვე რამდენიმე თვეა, რაც შიდა ქართლის, ყოფილი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზე, — ანუ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს, ქართველი ხალხის ისტორიულ სამშობლოს, სულიერი და მატერიალური კულტურის აკვანს წარმოადგენს, — მიმდინარე პროცესებს სსრკ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზღვარგარეთის მთელი რიგი სააგენტოები აშუქებენ, როგორც ეთნოკონფლიქტს, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკის ახალი მთავრობა ცდილობს ოს ხალხს ეროვნული ავტონომია წაართვას.

ეს სიცრუე და მონაგონი, რომელსაც თან ახლავს ცენტრალური ტელევიზიის მიერ ფალსიფიცირებული ვიდეოინფორმაცია, მიახლოებითაც კი ვერ ასახავს რეალობას.

სინამდვილეში შიდა ქართლში მიმდინარეობს ცენტრის — საკავშირო მთავრობის გამოუცხადებელი ომი რესპუბლიკასთან, რომელმაც უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს „განახლებული ფედერაციის" შექმნაში და ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

სწორედ ოს ბიუროკრატიაზე დაყრდნობით, რომელმაც მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია 1922 წელს უკანონოდ შექმნილ ოლქში, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში", ცდილობს დღეს ცენტრი ხელ-ფეხი შეუბორკოს 1921 წელს ძალით წართმეული სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმავალ ქართველ ხალხს.

ოსი მოიერიშეების მოქმედებებში ცენტრის აქტიური მონაწილეობა აშკარაა თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რეგიონში განლაგებულ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები ხელს უწყობდნენ მათ თავდასხმებს ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მილიციასა და მშვიდობიან მოსახლეობაზე. ხოლო უახლესი ტიპის იარაღით, რაკეტებითაც კი, მოიერიშეები რეგიონში განლაგებული სამხედრო ნაწილიდან მარაგდებიან.

ოსი ექსტრემისტების, საჯარისო დანაყოფებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით კი სსრკ ცენტრალური ტელევიზიის კოორდინირებული მოქმედება იმას მოწმობს, რომ საქართველოს რესპუბლიკას დილემის წინაშე აყენებენ — ან ხელი მოაწეროს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ანდა დაკარგოს შიდა ქართლისა და აფხაზეთის ოდითგან თავისი ტერიტორიები.

როგორც მდგომარეობა გვიჩვენებს, აფხაზეთში კვლავ იკვეთება ახალი კონფლიქტი, რამდენადაც ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შეუტყობინებლად რამდენიმე ასეული მედესანტე გამოჩნდა. საქართველოს კრემლის მხრიდან ემუქრება მასობრივი სისხლიანი რეპრესიები, რომელთა პროპაგანდისტულ მომზადებას ემსახურება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გაჩაღებული ზემოაღნიშნული ანტიქართული კამპანია.

ყველანაირად იჩქმალება ის ფაქტი, რომ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას, და ამრიგად, საქართველოს ნაწილის „ოსეთად" მონათვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძვლები არ გააჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა შიდა ქართლში.

გასაკვირი არ არის, რომ დღესაც ოსი კომუნისტი ტერორისტების ანტიქართული პუტჩი შიდა ქართლში მიმდინარეობს სკკპ იდეალებისადმი ერთგულებისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენის პოლიტიკური ლოზუნგით.

ქართველი ხალხი მზად არის დაიცვას როგორც თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ასევე ტერიტორიული მთლიანობა.

ცნობს რა შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის — ეროვნული უმცირესობის უფლებას სრულ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიაზე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დაწესებული ნორმების ერთგული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არ დაუშვებს, რომ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მათ ჰქონდეთ ავტონომია ან სახელმწიფოებრიობაზე პრეტენზიის მქონე სხვა წარმონაქმნი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უკვე წამოაყენა შიდა ქართლში კონფლიქტის მოსაგვარებლად მთელი რიგი წინადადებანი. მათგან მთავარია სისხლის ღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ყველა შეიარაღებული ფორმირების განიარაღება. ამან უნდა უზრუნველყოს მოლაპარაკების დაწყება შიდა ქართლში მცხოვრები ყველა პირის და, უწინარეს ყოვლისა, ოსი მოსახლეობის წარმომადგენელთა სრული უსაფრთხოების პირობებში, რომლებთანაც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიმართება მოლაპარაკება შიდა ქართლის ოსი მოსახლეობის სტატუსის საბოლოო მოწესრიგებისათვის.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა არმიის მხარდაჭერით მოიერიშეების მოქმედება კვლავ გრძელდება და თან სულ უფრო ინტენსიური ხდება, ასეთ პირობებში კრემლის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის ახალი კერების შესაქმნელად მიღებული ზომები შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მსოფლიო ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს მიმართავს შემდეგი მოწოდებით:

1. დაუყოვნებლივ შეიქმნას კომპეტენტური საერთაშორისო კომისია გაეროსა და ევროპარლამენტის ექსპერტების მონაწილეობით ადგილზე სინამდვილის შესასწავლად, რათა ფართო საზოგადოებრიობამ უტყუარი ინფორმაცია მიიღოს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

2. დახმარება გაეწიოს საქართველოს რესპუბლიკას ყველა იმ საშუალებით, რაც კი საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული სუვერენული სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმის აგრესიისაგან დასაცავად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭო**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 28 თებერვალი.